

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: თავსაფრები მაღაზიაში

მაღაზიაში დილას გასაყიდად ჰქონდათ 17 ცალი თეთრი და 15 ცალი წითელი თავსაფარი. საღამოს, რომ დაითვალეს, აღმოჩნდა, რომ მთელი დღის განმავლობაში გაყიდულა სულ 16 ცალი თავსაფარი.

შეგვიძლია თუ არა დაბეჭითებით ვთქვათ, რომ:

- ა) გაყიდულ თავსაფრებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც თეთრი;
- ბ) გაყიდულ თავსაფრებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც წითელი; (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

ა) შეგვიძლია დაბეჭითებით ვთქვათ, რომ გაყიდულ თავსაფრებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც თეთრი, ვინაიდან თექვსმეტივე წითელი ვერ იქნება, რადგან წითელი თავსაფრების რაოდენობა იყო სულ 15 ცალი.

ბ) დაბეჭითებით ვერ ვიტყვით, რომ გაყიდულ თავსაფრებს შორის აუცილებლად იქნება ერთი მაინც წითელი, ვინაიდან შესაძლებელია, რომ თექვსმეტივე გაყიდული თავსაფარი იყოს თეთრი;

შეფასება:

2 ქულა - როცა ორივე პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა ორივე სწორი პასუხი მოცემულია დასაბუთების გარეშე

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 2: რა დღეა?

ეს დღე არ მოსდევს სამშაბათს და არც ოთხშაბათის წინა დღეა; გუშინ კი შაბათი არ ყოფილა და არც ხვალ არის შაბათი; გუშინწინ არ იყო ხუთშაბათი და არც ზეგ იქნება ოთხშაბათი.

რა დღეა ეს დღე? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

პირველი წინადადება გვეუბნება, რომ ეს დღე არ არის ოთხშაბათი და არც სამშაბათი; მეორე წინადადება გვეუბნება, რომ ეს დღე არ არის კვირა და არც პარასკევი; მესამე წინადადებიდან კი გამოდის, რომ ეს დღე არ არის შაბათი და არც ორშაბათია. რჩება ერთადერთი ვარიანტი - ეს დღე ხუთშაბათია.

პასუხი: ეს დღე ხუთშაბათია.

შეფასება:

2 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთება არასრულყოფილი

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 3: რამდენი?

ყუთში 7 ლურჯი და 9 მწვანე ფანქარია, ყუთში ჩაუხედავად სულ მცირე რამდენი ფანქარი უნდა ამოვიღოთ, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს:

ა) 2 ლურჯი ფანქარი?

ბ) 5 მწვანე ფანქარი?

გ) 6 ლურჯი და 6 მწვანე ფანქარი?

დ) ერთი ფერის 3 ფანქარი?

ამოხსნა

ა) 11 ფანქარი

ბ) 12 ფანქარი

გ) 15 ფანქარი

დ) 5 ფანქარი

შეფასება

2 ქულა - როცა ოთხივე პასუხი სწორია

1 ქულა - როცა ორი მაინც პასუხი სწორია და ყველა სწორი არ არის

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 4: საზამთროების განაწილება

გვაქვს სხვადასხვა ზომის 7 საზამთრო, რომელთა წონებია შესაბამისად 1კგ, 2კგ, 3კგ, 5კგ, 6კგ, 7კგ, 8კგ.

როგორ გავუნაწილოთ ისინი თანაბრად 4 კაცს ისე, რომ არც ერთი საზამთრო არ გავჭრათ? (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა:

თუ მოცემულ რიცხვებს შევკრებთ, მივიღებთ, რომ შვიდივე საზამთროს საერთო წონა არის 32 კგ. ეს წონა რომ 4 კაცს თანაბრად გავუნაწილოთ, თითოეულს 8 კგ შეხვდება.

ეს კი შეიძლება ასე მოხდეს:

I კაცი 1კგ+7კგ-იანი საზამთროები

II კაცი 2კგ+6კგ-იანი საზამთროები

III კაცი 3კგ+5კგ-იანი საზამთროები

IV კაცი 8კგ-იანი საზამთრო.

შეფასება:

2 ქულა – როდესაც პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა – როდესაც პასუხი სწორია და დასაბუთება არასრულყოფილი

0 ქულა – დანარჩენ შემთხვევაში

ამოცანა 5: თანაკლასელები

სამი თანაკლასელი - არჩილი, ბესო და გია დადიან სხვადასხვა წრებზე. ერთი მათგანი დადის ცეკვაზე, მეორე სიმღერაზე და მესამე - მათემატიკაზე.

არჩილმა თქვა: მე ცეკვის წრებზე დავდივარ.

ბესომ თქვა: მე არ დავდივარ ცეკვის წრებზე.

გიამ თქვა: მე არ დავდივარ სიმღერის წრებზე.

დაადგინეთ, ვინ რომელ წრებზე დადის, თუ ამ გამონათქვამებიდან მხოლოდ ერთია მართალი. (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოხსნა

არჩილის ნათქვამი მართალი ვერ იქნება, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ბესოს ნათქვამიც მართალი გამოდის.

თუ დავუშვებთ, რომ ბესოს ნათქვამია მართალი, მაშინ გამოდის, რომ გია დადის სიმღერაზე, ხოლო ცეკვაზე - არც ერთი მათგანი.

თუ არც არჩილის და არც ბესოს ნათქვამებია სიმართლე, ე.ი. მართალს ამბობს გია. აქედან გამომდინარე:

ბესო დადის ცეკვაზე (რადგან მისი ნათქვამი ტყუილია);

სიმღერაზე დადის არჩილი (რადგან გია არ დადის სიმღერაზე);

გია დადის მათემატიკაზე (რადგან სხვა ვარიანტი აღარ რჩება).

პასუხი:

ბესო დადის ცეკვაზე;

სიმღერაზე დადის არჩილი;

გია დადის მათემატიკაზე.

შეფასება:

2 ქულა - როცა პასუხი სწორია და დასაბუთებაც სრულყოფილი

1 ქულა - როცა სწორი პასუხი მოცემულია დასაბუთების გარეშე

0 ქულა - დანარჩენ შემთხვევაში